ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული ან მისაღები საზღაურის თანხას, ასევე დაგროვილ შემოსულობასა და ზარალს შორის, რომელიც სხვა სრულ შემოსავალშია აღიარებული და დაგროვილია საკუთარ კაპიტალში, მოგება-ზარალში აღიარდება.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელშიც მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

ვალი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის ვალდებულებების გაქვითვა, გაუქმება ან ვადის გასვლა. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ა. ჯი-ქორ

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის ყველა გადახდილი საფასური, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, საოპერაციო დანახარჯები და სხვა პრემიები თუ ფასდაკლებები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასების და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ ამ უკანასკნელს გავლენა აქვს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

### შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები და განსჯა

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:** ძირითადი საშუალებების მუხლების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საგანს წარმოადგენს, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის თანმდევი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გამოყენების განმავლობაში მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიც არის ტექნიკური და კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივების თანმდევი ეკონომიკური სარგებლის კლებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობების და შეფასების პერიოდის შესაბამისად, რომლის დროსაც მოსალოდნელია კომპანიისთვის სარგებლის მიღება. გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემული ძირითადი

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

ფაქტორები: (ა) აქტივებით მოსალოდნელი სარგებლობა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნოლოგიური პროგრესზე; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც მომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებიდან.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება. საქმიანობის ჩვეულ პირობებში კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. იმის განსასაზღვრად, ოპერაცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, ხელმძღვანელობა განსჯას იყენებს, როდესაც არ არსებობს ამგვარი ოპერაციების აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველს წარმოადგენს არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

## 4. ამონაგები

2023 და 2022 წლებში კომპანიის ამონაგები მოიცავდა შემდეგს:

|                                                   | 2023   | 2022  |
|---------------------------------------------------|--------|-------|
| ამონაგები გაწეული მომსახურებიდან (მე-15 შენიშვნა) | 13,604 | 6,248 |
| ამონაგები                                         | 13,604 | 6,248 |

შემოსავალი განვითარების მომსახურებიდან მიიღება „G-Core Innovation S.A.R.L.“-თან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. მომსახურების შემოსავლის მიღება და აღიარება ყოველთვიურად ხდება, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ დარიცხულ განვითარების საფასურს.

## 5. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2023 და 2022 წლებში კომპანიის გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავდა შემდეგს:

|                                  | 2023   | 2022  |
|----------------------------------|--------|-------|
| პირდაპირი შრომა                  | 12,138 | 5,713 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | 12,138 | 5,713 |

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

## 6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

|                                    | 2023  | 2022  |
|------------------------------------|-------|-------|
| სახელფასო ხარჯი                    | 852   | 618   |
| სამივლინებო ხარჯი                  | 228   | 644   |
| საიჯარო ხარჯი                      | 161   | 89    |
| საოფისე ხარჯები                    | 148   | 64    |
| სადაზღვევო ხარჯები                 | 145   | 57    |
| იურიდიული ხარჯები                  | 132   | 123   |
| ცვეთის ხარჯი                       | 109   | 24    |
| საადრინცხო ხარჯები                 | 105   | 48    |
| სხვა საოპერაციო ხარჯები            | 101   | 23    |
| სწავლების ხარჯები                  | 80    | 184   |
| საგადასახადო საკონსულტაციო ხარჯები | 43    | 50    |
| კომპიუტერული ხარჯები               | 2     | 30    |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები  | 2,106 | 1,954 |

## 7. მოგების გადასახადის ხარჯი

2023 და 2022 წლებში კომპანიამ აღიარა ნული ლარის ოდენობით მოგების გადასახადის დანარიცხი განაწილებულ მოგებაზე, რადგან დივიდენდების გამოცხადება არ მომხდარა 2023 და 2022 წლებში.

შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი:

|                                        | კომპიუტერული<br>ტექნიკა | მომზადების<br>პროცესში მყოფი<br>აქტივები | სულ   |
|----------------------------------------|-------------------------|------------------------------------------|-------|
| თვითღირებულება:                        |                         |                                          |       |
| 2022 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით    | -                       | -                                        | -     |
| შესყიდვები                             | 272                     | 98                                       | 370   |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 272                     | 98                                       | 370   |
| შესყიდვები                             | 118                     | 86                                       | 204   |
| შიდა გადატანა                          | -                       | (118)                                    | (118) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 390                     | 66                                       | 456   |
| დაგროვილი ცვეთა:                       |                         |                                          |       |
| 2022 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით    | -                       | -                                        | -     |
| წლის დანარიცხი                         | (24)                    | -                                        | (24)  |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | (24)                    | -                                        | (24)  |
| წლის დანარიცხი                         | (109)                   | -                                        | (109) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | (133)                   | -                                        | (133) |
| წმინდა ბალანსი                         |                         |                                          |       |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 248                     | 98                                       | 346   |
| 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 257                     | 66                                       | 323   |

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

|                                       | 2023 | 2022 |
|---------------------------------------|------|------|
| ბანკებში არსებული ფულადი სახსრები     | 131  | 225  |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 131  | 225  |

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთები ბანკებში, საწყისი სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით.

ბანკში არსებული ნაშთების მოთხოვნამდე ვალდებულება დაცულია საქართველოს ტოპ-ბანკებში „Moody’s“-ის სარეიტინგო სისტემის ‘Ba3’ (2022 წ.: Ba3) შეფასებით. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს ბანკში არსებული შესაბამისი მიმდინარე ანგარიშებიდან.

მზი ყობეგო

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

### 10. საწესდებო კაპიტალი

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართულმა და გადახდილმა კაპიტალმა 375 ლარი შეადგინა. გარიგება განხორციელდა 2022 წლის 2 ივნისს.

### 11. ნასესხები სახსრები

|                                                  | 2023  | 2022  |
|--------------------------------------------------|-------|-------|
| გრძელვადიანი ვალები                              |       |       |
| გრძელვადიანი სესხები მშობელი საწარმოსგან         | 2,349 | 1,646 |
| საპროცენტო ვალდებულება მშობელი საწარმოსგან       | -     | 14    |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა) | 2,349 | 1,660 |
| მოკლევადიანი ვალები                              |       |       |
| მოკლევადიანი სესხები მშობელი საწარმოსგან         | 1,297 | -     |
| საპროცენტო ვალდებულება მშობელი საწარმოსგან       | 39    | -     |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა) | 1,336 | -     |
| ვალები სულ                                       | 3,685 | 1,660 |
| საპროცენტო ხარჯი                                 | 25    | 14    |
| სულ საპროცენტო ხარჯი                             | 25    | 14    |

2022 წლის 27 მაისს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება მშობელ საწარმოსთან, რომლითაც გაიხსნა მთლიანი საკრედიტო ხაზი 5,000 აშშ დოლარის და 5,000 ევროს ოდენობით, საპროცენტო განაკვეთით 2%. კომპანია ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი და ძირითადი თანხა დაფარვის თარიღში, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენს.

### 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                               | 2023 | 2022 |
|-----------------------------------------------|------|------|
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 118  | 186  |
| კომპანიის შიდა ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა) | 575  | 558  |
| სხვა ვალდებულებები                            | 61   | 3    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 754  | 747  |

### 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                     | 2023  | 2022 |
|-------------------------------------|-------|------|
| სავაჭრო მოთხოვნები (მე-15 შენიშვნა) | 1,131 | -    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები          | 1,131 | -    |

### 14. გადახდილი ავანსები

|                    | 2023 | 2022 |
|--------------------|------|------|
| გადახდილი ავანსები | 90   | 49   |
| გადახდები          | 90   | 49   |

*აბო ყიფიძე*

შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობასა და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

| დაკავშირებული მხარის დასახელება                             | კომპანიასთან ურთიერთობის ხასიათი         |
|-------------------------------------------------------------|------------------------------------------|
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „G-Core Holding S.A“ | მშობელი საწარმო                          |
| „G-Core Labs S.A“                                           | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო |
| „G-Core Innovations S.A.R.L.“                               | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო |

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

|                                                  | 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით                   |                 |       |
|--------------------------------------------------|-------------------------------------------------------|-----------------|-------|
|                                                  | კომპანიასთან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი საწარმო | სულ   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)   | 575                                                   | -               | 575   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-13 შენიშვნა)      | 1,131                                                 | -               | -     |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა) | -                                                     | 2,349           | 2,349 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა) | -                                                     | 1,336           | 1,336 |

|                                    | 2023                                                  |                 |        |
|------------------------------------|-------------------------------------------------------|-----------------|--------|
|                                    | კომპანიასთან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი საწარმო | სულ    |
| ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან |                                                       |                 |        |
| ამონაგები (მე-4 შენიშვნა)          | 13,604                                                | -               | 13,604 |
| სხვა შემოსავალი                    | 21                                                    | -               | 21     |
| საპროცენტო ხარჯი (მე-11 შენიშვნა)  | -                                                     | 25              | 25     |

|                                                  | 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით                   |                 |       |
|--------------------------------------------------|-------------------------------------------------------|-----------------|-------|
|                                                  | კომპანიასთან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი საწარმო | სულ   |
| ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან                  |                                                       |                 |       |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)   | 558                                                   | -               | 558   |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა) | -                                                     | 1,660           | 1,660 |

|                                    | 2022                                                  |                 |       |
|------------------------------------|-------------------------------------------------------|-----------------|-------|
|                                    | კომპანიასთან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი საწარმო | სულ   |
| ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან |                                                       |                 |       |
| ამონაგები (მე-4 შენიშვნა)          | 6,248                                                 | -               | 6,248 |
| სხვა შემოსავალი                    | 45                                                    | -               | 45    |
| გაუთვალისწინებელი ხარჯები          | 558                                                   | -               | 558   |
| საპროცენტო ხარჯი (მე-11 შენიშვნა)  | -                                                     | 14              | 14    |

კომპანია პირდაპირ იმართება და კონტროლირდება მშობელი საწარმოს მიერ და არ უხდის კომპენსაციას უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

აბი ექ იმეჯო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

## 16. პირობითი ვალდებულებები

**საოპერაციო გარემო** - კომპანია ოპერაციების საქართველოში ახორციელებს. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,4%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული ანგარიშის მიხედვით. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

**ვალდებულებები** - კომპანიას არ ჰქონია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**იურიდიული სამართალწარმოებები** - 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მოხდება არსებითი დაურიცხავი ზარალის გაწევა და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა ანარიცხი.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა უწყვეტი განვითარების და შესაბამისად სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა რეტროაქტიული იყოს.

გარდა ამისა, კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობებთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობის საგადასახადო უწყებებისმიერი ინტერპრეტაცია შესაძლოა არ დაემთხვეს კომპანიის მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციებს.

საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ შემოწმებისთვის სამი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო უწყებებმა შესაძლოა ექვს ქვეშ

შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და მოსაკრებლები.

#### 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 25 სექტემბერს.

*მზ. ყოიბაძე*

სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი

N241294050



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის თარიღი

26.09.2024 წ

სანოტარო მოქმედების  
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის  
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი


ქალაქი თბილისი, კ.ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593235532

სანოტარო მოქმედების  
ინდივიდუალური ნომერი

30485383742424



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ocdaoTxi წლის ოცდაექვს სექტემბერს მე, ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი თამარ ყვინაშვილის (დაბ. 20.07.1977, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, კორპ.1, ბ.45, პირადი # 01013004208, ბაკალავრის დიპლომი AA0046419 გაც. 1999 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა კულტურის და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.


26.09.2024 I, Tea Kikushvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the authenticity of the signature of translator Tamar Keinashvili (born on 20.07.1977, personal number 01013004208, residing at: Varketili, Zemo Plato, Building 1, Apt. 45; Bachelor's diploma AA0046419 issued in 1999 by Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Western Languages and Cultures). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. She confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.

გადახდილია 72-00 ლარი, 12,96 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. ერთი ეგზემპლარისთვის

Fee paid 72-00 GEL, according to the Article 31<sup>st</sup>, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT 2,96 GEL, according to Article 166<sup>th</sup> of Georgian Tax Code, also 5-00 GEL, according to the Article 39<sup>th</sup> resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი





ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ԿՐԹԱԳՐԱԴԱՐԱՆԻ  
ԿԵՆՏՐԱԼԻ  
ԲՈՒԾԻՐԱԴԱՐԱՆԻ



# შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

# შპს „ჯი-ქორ საქართველო“

## სარჩევი

გვერდი

განცხადება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა

და დამტკიცებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების შესახებ 1

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 6-22

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები 15
4. ამონაგები 16
5. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 16
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 17
7. მოგების გადასახადის ხარჯი 17
8. ძირითადი საშუალებები 18
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 18
10. საწესდებო კაპიტალი 19
11. ნასესხები სახსრები 19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 19
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 19
14. გადახდილი ავანსები 19
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები 20
16. პირობითი ვალდებულებები 21
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 22

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

**განცხადება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და დამტკიცებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების შესახებ**

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯი-ქორ საქართველოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს და ფულად ნაკადებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, სააღრიცხვო პოლიტიკასთან ერთად, იმგვარად, რომ ასახული იყოს რელევანტური, შედარებადი და გასაგები მონაცემები;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარდგენა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის სპეციფიური მოთხოვნები არ აძლევს შესაძლებლობას მომხმარებლებს გაიგოს ან აღიქვას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მაჩვენებლებზე, კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენების ან/და პირობების გავლენა;
- კომპანიის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ;

ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- კომპანიაში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომელიც უზენაეს და განმარტავს კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე საშუალებას აძლევს მათ უზრუნველყონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მსს ფასს სტანდარტთან შესაბამისობა;
- ადგილობრივი კანონმდებლობით და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით მოთხოვნილი სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების ფაქტების დაფიქსირება და აღკვეთა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 25.09.2024 წელს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

---

**ანდრე რეიტენბახი**

**დირექტორი**

25.09.2024

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

|                                                                                   | შენიშვნა | 2023         | 2022           |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------|--------------|----------------|
| ამონაგები                                                                         | 4        | 13,604       | 6,248          |
| გაყიდული საქონლის<br>თვითღირებულება                                               | 5        | (12,138)     | (5,713)        |
| <b>საერთო მოგება</b>                                                              |          | <b>1,466</b> | <b>535</b>     |
| ზოგადი და ადმინისტრაციული<br>ხარჯები                                              | 6        | (2,106)      | (1,954)        |
| საგადასახადო ხარჯი                                                                |          | (7)          | (107)          |
| საპროცენტო ხარჯები                                                                | 11       | (25)         | (14)           |
| <b>საოპერაციო ზარალი</b>                                                          |          | <b>(672)</b> | <b>(1,540)</b> |
| გაუთვალისწინებელი ხარჯი                                                           |          | (9)          | (558)          |
| საკუროსო სხვაობით განპირობებული<br>შემოსულობა/(ზარალი), წმინდა<br>სხვა შემოსავალი |          | 23           | 51             |
| <b>ზარალი დაბეგვრამდე</b>                                                         |          | <b>(997)</b> | <b>(2,135)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                         | 7        | -            | -              |
| <b>წლის ზარალი</b>                                                                |          | <b>(997)</b> | <b>(2,135)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                                             |          | -            | -              |
| <b>წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი</b>                                             |          | <b>(997)</b> | <b>(2,135)</b> |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით  
ხელი მოეწერა 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანდრე რეიტენბახი  
დირექტორი

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

|                                               | შენიშვნა | 2023           | 2022           |
|-----------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                |                |
| გრძელვადიანი აქტივები                         |          |                |                |
| ძირითადი საშუალებები                          | 8        | 323            | 346            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>323</b>     | <b>346</b>     |
| ავანსად გადახდილი გადასახადი                  |          | 7              | 27             |
| გადახდილი ავანსები                            | 14       | 90             | 49             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 13       | 1,131          | -              |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 9        | 131            | 225            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |          | <b>1,359</b>   | <b>301</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>1682</b>    | <b>647</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                            | 10       | 375            | 375            |
| დაგროვილი დეფიციტი                            |          | (3,132)        | (2,135)        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>(2,757)</b> | <b>(1,760)</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                          |          |                |                |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                    |          |                |                |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები               | 11       | 2,349          | 1,660          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>2,349</b>   | <b>1,660</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |                |                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება                   | 12       | 754            | 747            |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები               | 11       | 1,336          | -              |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>2,090</b>   | <b>747</b>     |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |          | <b>4,439</b>   | <b>2,407</b>   |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>1,682</b>   | <b>647</b>     |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანდრე რეიტენბახი  
დირექტორი

6-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

|                                              | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>დეფიციტი | სულ<br>საკუთარი<br>კაპიტალი |
|----------------------------------------------|----------|-----------------------|-----------------------|-----------------------------|
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |          | -                     | -                     | -                           |
| საწესდებო კაპიტალი                           | 10       | 375                   |                       | 375                         |
| წლის ზარალი                                  |          | -                     | (2,135)               | (2,135)                     |
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |          | 375                   | (2,135)               | (1,760)                     |
| საწესდებო კაპიტალი                           | 10       | -                     | -                     | -                           |
| წლის ზარალი                                  |          | -                     | (997)                 | (997)                       |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |          | 375                   | (3,132)               | (2,757)                     |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანდრე რეიტენბახი  
დირექტორი

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

### ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

|                                                                                                        | შენიშვნა | 2023           | 2022           |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>                                               |          |                |                |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                                             |          | 12,440         | 6,202          |
| მიმწოდებლებისთვის განხორციელებული გადახდები                                                            |          | (1,222)        | (883)          |
| თანამშრომლებისთვის განხორციელებული გადახდები                                                           |          | (12,335)       | (5,258)        |
| ბანკის საკომისიო გადახდები                                                                             |          | (223)          | (153)          |
| გადასახადების გადახდა                                                                                  |          | (565)          | (1,023)        |
| <b>(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b> |          | <b>(1,905)</b> | <b>(1,115)</b> |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>                                             |          |                |                |
| ქონების შეძენა                                                                                         |          | (77)           | (342)          |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                                   |          | <b>(77)</b>    | <b>(342)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                         |          |                |                |
| ფინანსური მხარდაჭერა                                                                                   | 10       | -              | 375            |
| შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან                                                                       |          | 1,926          | 1,364          |
| <b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                                      |          | <b>1,926</b>   | <b>1,739</b>   |
| <b>ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი</b>                        |          | <b>(38)</b>    | <b>(57)</b>    |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება</b>                                         |          | <b>(56)</b>    | <b>282</b>     |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>                                       | 9        | <b>225</b>     | -              |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>                                           | 9        | <b>131</b>     | <b>225</b>     |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანდრე რეიტენბახი  
დირექტორი

6-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

---

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი-ქორ საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც 2022 წლის 23 მარტს დაფუძნდა საქართველოში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც ფლობს ლუქსემბურგში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „G-Core Holding S.A.“ (მშობელი საწარმო). ამასთან, მშობელი საწარმოს საბოლოო მფლობელია კვიპროსში რეგისტრირებული შპს „WGVC“ (საბოლოო მშობელი საწარმო).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, მხარდაჭერის და ტექნოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა კომპანიისთვის „G-Core Innovations S.A.R.L.“. 2023 წლის ბოლოსთვის კომპანიას 113 თანამშრომელი ჰყავდა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, მე-2 სართული, ნიშნული 3,9, ბლოკი II, საოფისე სივრცე №5. კომპანიის ძირითადი საოპერაციო მისამართია საქართველო, ჭავჭავაძის გამზირი №29, მე-6 სართული, საოფისე სივრცე 1.

### 2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

#### განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტი) (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“).

#### მომზადების საფუძველი

**ფუნქციონირებადი საწარმო.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში.

განუსაზღვრელობა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას დაფუძნების შემდგომ გაცდილი საოპერაციო ზარალებიდან უპირატესად უკავშირდება პერსონალის საქართველოში გადმოსვლისას გაწეულ დამატებით ხარჯებს. ეს ხარჯები მცირდება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კომპანიას აქვს მშობელი საწარმოს მხარდაჭერა, რომელმაც იკისრა ნებისმიერი მიმდინარე ხარჯის დაფარვა ფულადი სახსრების ნაკლებობის შემთხვევაში.

ამ განუსაზღვრელობებით გამოწვეული პოტენციური გავლენის შეფასებისას, ასევე შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით ოპერირების გაგრძელებასთან დაკავშირებული არსებითი ეჭვები არ არსებობს. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

**აღრიცხვის საფუძველი** ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. პირვანდელი ღირებულება ჩვეულებრივ აქტივებში გადახდილი საფასურის სამართლიან ღირებულებას ეფუძნება.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომლის მიღებაც მოხდებოდა აქტივის გასაყიდად ან ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში ვალდებულების გადასაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ფასები პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას

კომპანია ითვალისწინებს აქტივების და ვალდებულებების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები აქტივის და ვალდებულების ფასწარმოების განხორციელებისას ამ მახასიათებლებს გაითვალისწინებენ შეფასების თარიღში.

**სამუშაო ვალუტა.** ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი, თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული.

**ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს სურვილი განხორციელდეს გადახდა წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებო მითითება არსებობს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

#### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. მომსახურების გარიგებასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება გარიგების დასრულების ეტაპზე საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში.

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგების პროდუქტი შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული და ყველა მომდევნო პირობა იქნება დაკმაყოფილებული:

- ამონაგების რაოდენობა შესაძლოა საიმედოდ იყოს შეფასებული.
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა.
- გარიგების დასრულების ეტაპი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.
- გარიგებისთვის გაწეული დანახარჯები და გარიგების დასრულებისთვის საჭირო დანახარჯები შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც შეუძლებელია საბარტერო გარიგების ფარგლებში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგები გაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

#### **გაყიდული საქონლის თვითღირებულება**

მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი პირდაპირი ხარჯები აღიარდება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება. ამგვარი დანახარჯები მოიცავს დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას, ხელფასებს, წლიურ შვებულებას და ბიულეტენს, პრემიებს და სხვა სარგებელს, რომლებიც ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

#### **საოპერაციო იჯარა**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად მიიღება იჯარის წამახალისებელი გადახდები, ეს უკანასკნელები ვალდებულებად აღირიცხება. წამახალისებელი გადახდების აგრეგირებული სარგებლის აღიარება ხდება საიჯარო ხარჯის შემცირების სახით დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

#### **გაუთვალისწინებელი ხარჯები**

გაუთვალისწინებელი ხარჯები მოიცავს დანახარჯებს, რომლებსაც კომპანია გასწევს მისი ჩვეული ოპერაციების მიღმა. გაუთვალისწინებელი ხარჯები მოიცავდა თავდაპირველი რეგისტრაციის ხარჯებს, რომლებიც გასწიეს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები და შემდეგ გადაეწერა კომპანიას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

### უცხოური ვალუტა

ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ყველა საანგარიშგებო თარიღში, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც საკურსო სხვაობით წარმოიშვება შესულია ამ პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია სავალუტო კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის:

|                 |                             |                             |
|-----------------|-----------------------------|-----------------------------|
|                 | <u>3 წლის<br/>დეკემბერი</u> | <u>2 წლის<br/>დეკემბერი</u> |
| აშშ დოლარი/ლარი | 394                         | 20                          |
|                 | <u>3 წლის<br/>დეკემბერი</u> | <u>2 წლის<br/>დეკემბერი</u> |
| ევრო/ლარი       | 753                         | 2.8844                      |

### გადასახადებით დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოცემული მომენტისთვის გადასახდელი გადასახადის თანხას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

---

გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შემენის ღირებულებაში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე-ის აქტივის ან ვალდებულების ნაწილში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულების პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია ერთეულის საჭირო ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანას, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომელზედაც ამგვარი ერთეული იყო განთავსებული, და (დ) ვალდებულება, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შემენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ერთეულის გამოყენების შედეგად, ამ პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების მიზნისაგან განსხვავებული მიზნით.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს კეთილმოწყობისა და გამოცვლის ძირითად დანახარჯებს, რომლებიც აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ახანგრძლივებს ან ზრდის შემოსავლის წარმოქმნის სიმძლავრეს. რემონტის და ტექნომსახურების ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის არსებულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ამორტიზებული თანხის ჩამოწერის გზით და დაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

| ძირითადი საშუალებების კატეგორიები           | სასარგებლო<br>წლებში | მომსახურების<br>ვადა |
|---------------------------------------------|----------------------|----------------------|
| კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა | 3                    |                      |

შეძენილ, მაგრამ ჯერ დაუმონტაჟებელ ერთეულებს მომზადების პროცესში მყოფი აქტივები ეწოდება, რომლებიც ეკონომიკურ ღირებულებას მომავალში შექმნიან. შესაბამისად, ისინი აღრიცხულია, როგორც „მომზადების პროცესში მყოფი აქტივები“ და მათზე ცვეთა არ დარიცხულა, მანამდე სანამ აქტივები გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი არ გახდება.

ცვეთის თანხა ძირითადი საშუალების მუხლის თვითღირებულებაა, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიიღებდა, გასვლის დანახარჯების დაქვითვის შემდეგ, აქტივი მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებებში ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებაში ცვლილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გაყიდვის ან გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

### გადახდილი ავანსი

მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები შეუქცევადი თანხების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება.

### ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება იმ დროს, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

---

### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: 'სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად', 'დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად', 'გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად' და 'სესხებად და მოთხოვნებად'. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება საწყისი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასება შემდგომში ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზეც პროცენტი არ ირიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება საწყისი აღიარებისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირების გზით.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება; ან
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

---

- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ამგვარი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივისთვის. გამოწვეულია სავაჭრო მოთხოვნები, რა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აქტივში და დაკავშირებულ ვალდებულებაში შენარჩუნებულ პროცენტს აღიარებს იმ თანხის ოდენობით, რომლის გადახდაც შეუძლია. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს შემოსულობისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

---

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული ან მისაღები საზღაურის თანხას, ასევე დაგროვილ შემოსულობასა და ზარალს შორის, რომელიც სხვა სრულ შემოსავალშია აღიარებული და დაგროვილია საკუთარ კაპიტალში, მოგება-ზარალში აღიარდება.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელში მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

### **ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები**

#### მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

ვალი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტების მიხედვით.

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის ვალდებულებების გაქვითვა, გაუქმება ან ვადის გასვლა. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

#### ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის ყველა გადახდილი საფასური, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, საოპერაციო დანახარჯები და სხვა პრემიები თუ ფასდაკლებები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

### **საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასების და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ ამ უკანასკნელს გავლენა აქვს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

### **შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები და განსჯა**

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:** ძირითადი საშუალებების მუხლების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საგანს წარმოადგენს, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის თანმდევი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გამოყენების განმავლობაში მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური და კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივების თანმდევი ეკონომიკური სარგებლის კლებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობების და შეფასების პერიოდის შესაბამისად, რომლის დროსაც მოსალოდნელია კომპანიისთვის სარგებლის მიღება. გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემული ძირითადი

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

ფაქტორები: (ა) აქტივებით მოსალოდნელი სარგებლობა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნოლოგიური პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც მომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებიდან.

**დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება.** საქმიანობის ჩვეულ პირობებში კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. იმის განსასაზღვრად, ოპერაცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, ხელმძღვანელობა განსჯას იყენებს, როდესაც არ არსებობს ამგვარი ოპერაციების აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველს წარმოადგენს არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

## 4. ამონაგები

2023 და 2022 წლებში კომპანიის ამონაგები მოიცავდა შემდეგს:

|                                                   | 2023          | 2022         |
|---------------------------------------------------|---------------|--------------|
| ამონაგები გაწეული მომსახურებიდან (მე-15 შენიშვნა) | 13,604        | 6,248        |
| <b>ამონაგები</b>                                  | <b>13,604</b> | <b>6,248</b> |

შემოსავალი განვითარების მომსახურებიდან მიიღება „G-Core Innovation S.A.R.L.“-თან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. მომსახურების შემოსავლის მიღება და აღიარება ყოველთვიურად ხდება, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ დარიცხულ განვითარების საფასურს.

## 5. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2023 და 2022 წლებში კომპანიის გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავდა შემდეგს:

|                                         | 2023          | 2022         |
|-----------------------------------------|---------------|--------------|
| პირდაპირი შრომა                         | 12,138        | 5,713        |
| <b>გაყიდული საქონლის თვითღირებულება</b> | <b>12,138</b> | <b>5,713</b> |

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

### 6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

|                                          | 2023         | 2022         |
|------------------------------------------|--------------|--------------|
| სახელფასო ხარჯი                          | 852          | 618          |
| სამივლინებო ხარჯი                        | 228          | 644          |
| საიჯარო ხარჯი                            | 161          | 89           |
| საოფისე ხარჯები                          | 148          | 64           |
| სადაზღვევო ხარჯები                       | 145          | 57           |
| იურიდიული ხარჯები                        | 132          | 123          |
| ცვეთის ხარჯი                             | 109          | 24           |
| სააღრიცხვო ხარჯები                       | 105          | 48           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                  | 101          | 23           |
| სწავლების ხარჯები                        | 80           | 184          |
| საგადასახადო საკონსულტაციო ხარჯები       | 43           | 50           |
| კომპიუტერული ხარჯები                     | 2            | 30           |
| <b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>2,106</b> | <b>1,954</b> |

### 7. მოგების გადასახადის ხარჯი

2023 და 2022 წლებში კომპანიამ აღიარა ნული ლარის ოდენობით მოგების გადასახადის დანარიცხი განაწილებულ მოგებაზე, რადგან დივიდენდების გამოცხადება არ მომხდარა 2023 და 2022 წლებში.

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

### 8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი:

|                                        | კომპიუტერული<br>ტექნიკა | მომზადების<br>პროცესში მყოფი<br>აქტივები | სულ   |
|----------------------------------------|-------------------------|------------------------------------------|-------|
| <b>თვითღირებულება:</b>                 |                         |                                          |       |
| 2022 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით    | -                       | -                                        | -     |
| შესყიდვები                             | 272                     | 98                                       | 370   |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 272                     | 98                                       | 370   |
| შესყიდვები                             | 118                     | 86                                       | 204   |
| შიდა გადატანა                          | -                       | (118)                                    | (118) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 390                     | 66                                       | 456   |
| <b>დაგროვილი ცვეთა:</b>                |                         |                                          |       |
| 2022 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით    | -                       | -                                        | -     |
| წლის დანარიცხი                         | (24)                    | -                                        | (24)  |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | (24)                    | -                                        | (24)  |
| წლის დანარიცხი                         | (109)                   | -                                        | (109) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | (133)                   | -                                        | (133) |
| წმინდა ბალანსი                         |                         |                                          |       |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 248                     | 98                                       | 346   |
| 2023 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 257                     | 66                                       | 323   |

### 9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

|                                       | 2023 | 2022 |
|---------------------------------------|------|------|
| ბანკებში არსებული ფულადი სახსრები     | 131  | 225  |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 131  | 225  |

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთები ბანკებში, საწყისი სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით.

ბანკში არსებული ნაშთების მოთხოვნამდე ვალდებულება დაცულია საქართველოს ტოპ-ბანკებში „Moody’s“-ის სარეიტინგო სისტემის ‘Ba3’ (2022 წ.: Ba3) შეფასებით. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს ბანკში არსებული შესაბამისი მიმდინარე ანგარიშებიდან.

## შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

### 10. საწესდებო კაპიტალი

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართულმა და გადახდილმა კაპიტალმა 375 ლარი შეადგინა. გარიგება განხორციელდა 2022 წლის 2 ივნისს.

### 11. ნასესხები სახსრები

|                                                         | 2023         | 2022         |
|---------------------------------------------------------|--------------|--------------|
| <b>გრძელვადიანი ვალები</b>                              |              |              |
| გრძელვადიანი სესხები მშობელი საწარმოსგან                | 2,349        | 1,646        |
| საპროცენტო ვალდებულება მშობელი საწარმოსგან              | -            | 14           |
| <b>გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა)</b> | <b>2,349</b> | <b>1,660</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალები</b>                              |              |              |
| მოკლევადიანი სესხები მშობელი საწარმოსგან                | 1,297        | -            |
| საპროცენტო ვალდებულება მშობელი საწარმოსგან              | 39           | -            |
| <b>მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა)</b> | <b>1,336</b> | <b>-</b>     |
| <b>ვალები სულ</b>                                       | <b>3,685</b> | <b>1,660</b> |
| საპროცენტო ხარჯი                                        | 25           | 14           |
| <b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>                             | <b>25</b>    | <b>14</b>    |

2022 წლის 27 მაისს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება მშობელ საწარმოსთან, რომლითაც გაიხსნა მთლიანი საკრედიტო ხაზი 5,000 აშშ დოლარის და 5,000 ევროს ოდენობით, საპროცენტო განაკვეთით 2%. კომპანია ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი და ძირითადი თანხა დაფარვის თარიღში, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენს.

### 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                               | 2023       | 2022       |
|-----------------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 118        | 186        |
| კომპანიის შიდა ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა) | 575        | 558        |
| სხვა ვალდებულებები                            | 61         | 3          |
| <b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>          | <b>754</b> | <b>747</b> |

### 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                     | 2023         | 2022     |
|-------------------------------------|--------------|----------|
| სავაჭრო მოთხოვნები (მე-15 შენიშვნა) | 1,131        | -        |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>   | <b>1,131</b> | <b>-</b> |

### 14. გადახდილი ავანსები

|                    | 2023      | 2022      |
|--------------------|-----------|-----------|
| გადახდილი ავანსები | 90        | 49        |
| <b>გადახდები</b>   | <b>90</b> | <b>49</b> |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

**15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები**

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობასა და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

**დაკავშირებული მხარის დასახელება**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„G-Core Holding S.A“

„G-Core Labs S.A“

„G-Core Innovations S.A.R.L.“

**კომპანიასთან ურთიერთობის ხასიათი**

მშობელი საწარმო

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)  
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-13 შენიშვნა)  
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)  
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| კომპანიასთან საერთო<br>კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი<br>საწარმო | სულ   |
|-------------------------------------------------------------|--------------------|-------|
| 575                                                         | -                  | 575   |
| 1,131                                                       | -                  | -     |
| -                                                           | 2,349              | 2,349 |
| -                                                           | 1,336              | 1,336 |

2023

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ამონაგები (მე-4 შენიშვნა)  
სხვა შემოსავალი  
საპროცენტო ხარჯი (მე-11 შენიშვნა)

| კომპანიასთან საერთო<br>კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი<br>საწარმო | სულ    |
|-------------------------------------------------------------|--------------------|--------|
| 13,604                                                      | -                  | 13,604 |
| 21                                                          | -                  | 21     |
| -                                                           | 25                 | 25     |

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)  
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| კომპანიასთან საერთო<br>კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი<br>საწარმო | სულ   |
|-------------------------------------------------------------|--------------------|-------|
| 558                                                         | -                  | 558   |
| -                                                           | 1,660              | 1,660 |

2022

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ამონაგები (მე-4 შენიშვნა)  
სხვა შემოსავალი  
გაუთვალისწინებელი ხარჯები  
საპროცენტო ხარჯი (მე-11 შენიშვნა)

| კომპანიასთან საერთო<br>კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმო | მშობელი<br>საწარმო | სულ   |
|-------------------------------------------------------------|--------------------|-------|
| 6,248                                                       | -                  | 6,248 |
| 45                                                          | -                  | 45    |
| 558                                                         | -                  | 558   |
| -                                                           | 14                 | 14    |

კომპანია პირდაპირ იმართება და კონტროლირდება მშობელი საწარმოს მიერ და არ უხდის კომპენსაციას უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)

---

## 16. პირობითი ვალდებულებები

**საოპერაციო გარემო** - კომპანია ოპერაციების საქართველოში ახორციელებს. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,4%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული ანგარიშის მიხედვით. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

**ვალდებულებები** - კომპანიას არ ჰქონია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**იურიდიული სამართალწარმოებები** - 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მოხდება არსებითი დაურიცხავი ზარალის გაწევა და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა ანარიცხი.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა უწყვეტი განვითარების და შესაბამისად სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა რეტროაქტიული იყოს.

გარდა ამისა, კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობებთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობის საგადასახადო უწყებებისმიერი ინტერპრეტაცია შესაძლოა არ დაემთხვეს კომპანიის მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციებს.

საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ შემოწმებისთვის სამი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო უწყებებმა შესაძლოა ეჭვს ქვეშ

შპს „ჯი-ქორ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

*(ცხრილებში მოცემული ციფრები დამრგვალებულია ათას ლარამდე)*

---

დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და მოსაკრებლები.

#### 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 25 სექტემბერს.